დამსაქმებელთა გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე ,,საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2010 წლიდან. იმისათვის, რომ კურსდამთავრებულებმა სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნითა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით დაიმკვიდრონ თავიანთი ადგილი მაღალ კონკურენტულ გარემოში, შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების კურსის გავლის პარალელურად, პრაქტიკული უნარჩვევების შეძენის მიზნით, გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის გავლა ქ. ფოთში არსებულ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ, მოქმედ საზღვაო-სატრანსპორტო, გადამზიდავ ფირმებში და მცირე საწარმოებში. კერძოდ, საწარმოო პრაქტიკის ობიექტებია: სს ფოთის საზღვაო ნავსადგური, შპს ,,ინსტრა-ფოთი“, შპს ,,ბერვილი“, საზღვაო სააგენტო ,,სოფმარი“, შპს ,,კავტრექს-ტერმინალი“, საბაჟო-საკონტეინერო ტერმინალი შპს ,,ალმარსერვისი“, შპს ,,ლოჯისტექსი“, შპს ,,ჯორჯიან ტრანს-ექსპედიცია“ და სხვ.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოს და კონკრეტულად რეგიონის შრომის ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინება, თუ რა კონკრეტული უნარების განვითარებაა საჭირო სტუდენტებისთვის.

ამ მიზნით „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, პროგრამის განვითარების და სრულყოფის მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობს პოტენციურ დამსაქმებლებთან. მათთან პერიოდულად ტარდება:

- სამუშაო შეხვედრები და საუბრები საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით;
-ელექტრონული გამოკითხვები სტუდენტების მიერ შრომის ბაზრისათვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებაში ხელშეწყობის მიზნით.

პოტენციური დამსაქმებლები რეკომენდაციებს გვაძლევენ სასწავლო კურსების თემატიკაში თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. კერძოდ, პროგრამის

ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის ამირან ბრეგვაძის ელექტრონულად მიმართვის საფუძველზე თავისი მოსაზრება სტუდენტებისათვის საჭირო კომპეტენციების გამოსამუშავებლად მოგვაწოდა სს ფოთის საზღვაო ნავსადგურის მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯერმა ზ. ჩხარტიშვილმა, შპს ,,ბერვილი"-ი დირექტორის მოადგილე ზაქრო გვრიტიშვილმა.

პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ სასურველია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის" კურსდამთავრებული ფლობდეს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

- ✓ იცოდეს ნავსადგურის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ორგანიზაცია და ტარიფები:
- ✓ იცნობდეს ინკოტერმისის (სავაჭრო შეთანხმება გამყიდველისა და მყიდველს შორის) პირობებს;
- ✓ შეეძლოს სატვირთო დოკუმენტებთან (გემისა და კონტეინერის კონოსამენტი, მანიფესტი, ინვოისი, სერთიფიკატი, სავაგონო ზედდებული და ა.შ.) მუშაობა:
- ✓ ჰქონდეს ცოდნა ლოჯისტიკური ჯაჭვის სრული ციკლის შესახებ:
- ✓ პროფესიულ დონეზე უნდა ფლობდეს უწყებათშორის დოკუმენტალური ურთიერთობების წარმოებას:
- ✓ გაცნობიერებული ჰქონდეს საერთაშორისო დოკუმენტების მნიშვნელობა და ტერმინოლოგია:
- ✓ უნდა ფლობდეს საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლებს და საგადასახადო კანონმდებლობას:
- ✓ შეეძლოს საბაჟო-სასაწყობო მეურნეობის მართვა.

აქვე მოგაწოდებთ პოტენციურ დამსაქმებლებთან ელექტრონული ფორმით მიმოწერის ამსახველ მასალას.

საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტი

CZ

Chkhartishvili, Zviad <Zviad.Chkhartishvili@apmterminals.com>

Ответить всем|

Кому:
Amiran Bregvadze;
Пн 25.01.2016 15:46

APMT 03.2015_GEO.pdf68 КБ	Port Dues_2013_GEO.doc129 КБ	2x40 cntrs docs.pdf41 МБ	Bill of Lading .doc52 КБ	Bill of Lading 2.doc52 КБ	Cargo Manifest.xls33 КБ	Master peceipt.doc31 КБ	Incoterms-1.jpg86 КБ	Incoterms-2.jpg994 КБ

Показать все: Вложений: 12 (7 МБ) Скачать все
Сохранить все в OneDrive – Akaki Tsereteli State University

Поручения
ბატონო ამირან,

მოთხოვნისამებრ, გიგზავნით:

- ნავსადგურის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ტარიფებს;
- ნავსადგურის დისბურსმენტს;
- ინკოტერმსის პირობებს (სავაჭრო შეთანხმება გამყიდველსა და მყიდველს შორის);
- სატვირთო დოკუმენტების ნიმუშებს (გემის და კონტეინერის კონოსამენტი, მანიფესტი, ინვოისი, სერტიფიკატი, სავაგონო ზედდებული და ა.შ.);
- კურსდამთავრებულისათვის საჭირო უნდარ-ჩვევების ჩამონათვალს;
- ლოგისტიკური ჯაჭვის სრული ციკლის აღწერას;

პატივისცემით,
ზვიად ჩხარტიშვილი

With Best Regards,

Zviad Chkhartishvili
Marketing and Sales Manager
APM Terminals Poti
Poti, Georgia
Office +995-493-27-7500
Mobile +995-599-88-7500
zviad.chkhartishvili@apmterminals.com

Lifting Global Trade
www.apmterminals.com

ბევრილი
ჯგუფი

18 დეკემბერი 2015 წ. №223

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფოთის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანს
ბატონ ამირან ბრეგვაძეს

ბატონო ამირან

თქვენი 11/12/2015 წლის წერილის პასუხად გაცნობებთ , რომ საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობის კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს :

1. პროფესიულ დონეზე უნდა ფლობდეს უწყებათაშორის (სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებთან) დოკუმენტალური ურთიერთობის წარმოებას.
2. პროფესიულ დონეზე უნდა ფლობდეს საერთშორისო დოკუმენტების მნიშვნელობასა და ტერმინოლოგიას. რომელიც ასახულია უწყებათაშორის დადებულ ხელშეკრულებებში.
3. პროფესიულ დონეზე უნდა ფლობდეს ფედერალური საშემოსავლო სამსახურში არსებულ საიტებზე მუშაობას (RS.GE; ASYCUDA WORLD;და სხვა პროგრამებს) .
4. პროფესიულ დონეზე უნდა ფლობდეს საბაჟო სასაწყობე მეურნეობის მართვას.
5. პროფესიულ დონეზე უნდა ფლობდეს სახელმწიფო საგადასახადო კანონმდებლობას, ზოგადად უნდა ფლობდეს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებს.

BEVRILI GROUP 208215982 ბევრილი ჯგუფი

დირექტორის მოადგილე: /ა.ზ.გვრიტიშვილი/

ქ. თბილისი; ქიზიყის ქ. 24
+995 32 271 72 03
+995 595 01 62 03

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის

საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის

დეკანს ამირან ბრეგვაძის

შ.პ.ს „Greenline Service " -ის

აგენტის ალექსანდრე მახარაძის

სამსახურებრივი ბარათი

ბ -ნო ამირან,

თქვენი წერილის თანახმად გიგზავნით წინადადებებს მომავალი სპეციალისტების უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით:

	საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობის კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს:	პროფესიულ დონეზე	ზოგადად
1	Speaking /Writing fluent English language	x	
2	Have a good correspondence in maritime English	x	
3	Be politely with your company's clients/ ship's owners		x
4	Have a good relations with all services managers/ bosses		x
5	Know local maritime requirements / laws to avoid huge penalties	x	
6	To update information as soon as possible between ship, ship's owner, local port, police, harbor master office and cargo receiver.	x	
7	To know all vessel's documentation which is required by local immigration police, customs & port authorities.	x	
8	To have prepared, printed, signed stamped all necessary documentation prior vessel's arrival.	x	
9	To take original cargo documents from vessel's/master's post.	x	
10	To inform minimum 72 hours prior vessel's arrival: Immigration police & port authorities.	x	

დამსაქმებლებთან სხვადასხვა დროს განხორციელებული შეხვედრების, დისკუსიების, მონაცემების კომპლექსური შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამაში გარკვეული ცვლილების შეტანის აუცილებლობა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

1. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და მოსაზრებები გათვალისწინებული ყოფილიყო პროგრამის სრულყოფის მიზნით;

2. სასწავლო კურსები შემუშავებულიყო პოტენციურ დასაქმებულთა კვალიფიკაციის მიმართ დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით;

3. სასწავლო გეგმით გაზარდილიყო პრაქტიკული უნარების ჩამომყალიბებელი საგნების ხვედრითი წილი.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საჭირო გახდა პროგრამის 10 კრედიტიანი საგნების ნაცვლად 5 კრედიტიანი ისეთი საგნებით ჩანაცვლება, რომლებიც განაპირობებდა მენეჯმენტის მიმართულების საგნების ხვედრითი წილის ზრდას საბაკალვრო პროგრამაში სტუდენტებისათვის რეკომენდებული კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით. კერძოდ, ეს ცვლილებებია:

1. 10კრედიტიანი საგანი „სატრანსპორტო ფირმის ეკონომიკა“, რომელიც ხორციელდებოდა მეექვსე სემესტრში, გაიყო ორ ნაწილად: 1. ტრანსპორტის ეკონომიკის საფუძვლები (5 კრედიტი) მეხუთე სემესტრში და 2. საზღვაო ტრანსპორტის ეკონომიკა (5 კრედიტი) მეექვსე სემესტრში.

2. საგანი „სატრანსპორტო ფირმის ორგანიზაციის საფუძვლები“ (10 კრედიტი) ჩაანაცვლა საგანმა „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ (5 კრედიტი) მეხუთე სემესტრში, და საგანმა „ლოგისტიკური მენეჯმენტი“ (5 კრედიტი) მეშვიდე სემესტრში.

3. 10 კრედიტიანი საგანი „ლოგისტიკა“, რომელიც ხორციელდებოდა მეექვსე სემესტრში, გაიყო ორ ნაწილად: 1. „ლოგისტიკის საფუძვლები“ (5 კრედიტი) მეხუთე სემესტრში და 2. „საკონტეინერო გადაზიდვები“(5 კრედიტი) მეექვსე სემესტრში.

4. 10 კრედიტიანი საგანი „საბუღალტრო აღრიცხვა“ რომელიც ხორციელდებოდა მეშვიდე სემესტრში, გაიყო ორ ნაწილად: 1. „ბუღალტრული აღრიცხვის თეორია“ (5 კრედიტი) მეექვსე სემესტრში და 2. „ფინანსური აღრიცხვა“(5 კრედიტი) მეშვიდე სემესტრში.

5. 10 კრედიტიანი საგანი „ფირმის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი“, რომელიც ხორციელდებოდა მერვე სემესტრში, შეიცვალოს 5 კრედიტიანით მეშვიდე სემესტრში, და მერვე სემესტრში დაემატოს მმართველობითი აღრიცხვა (5 კრედიტი).

6. არჩევითი საგნებიდან „მათემატიკური მეთოდები და მოდელები მართვაში“, რომელიც ხორციელდებოდა მესამე სემესტრში, განხორციელდება მეოთხე სემესტრში, ხოლო „გარემოს დაცვა“ რომელიც ხორციელდებოდა მეოთხე სემესტრში, განხორციელდება მესამე სემესტრში.

7. საგანი „სამართლის საფუძვლები“ (5 კრედიტი) პირველი სემესტრში შეიცვალა საგნით „საზღვაო გზების გეოგრაფია“ (5 კრედიტი) იმავე სემესტრში;

8. საგანი „პროექტის მენეჯმენტი“ (5 კრედიტი) მერვე სემესტრში შეიცვალა საგნით „შრომის უსაფრთხოება და ჰიგიენა პორტებში“ (5 კრედიტი) იმავე სემესტრში;

9. საგანი „ფლოტის მართვა და გემების აგენტირება1“ (5 კრედიტი) მეშვიდე სემესტრში ჩანაცვლდა საგნით „სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურების საფუძვლები“ (5 კრედიტი) იმავე სემესტრში. შესაბამისად, საგანი „ფლოტის მართვა და გემების აგენტირება 2“ განხორციელდება სახელწოდებით „ფლოტის მართვა და გემების აგენტირება“.

ამრიგად, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პოტენციურ დამსაქმებლებთან მუდმივი საქმიანი კონტაქტი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების ხელშემწყობი პირობაა, რათა უზრუნველყოს შრომის ბაზარზე მათი დამკვიდრება, ხელი შეუწყოს პროგრამის მიზნების სრულყოფილად მიღწევას თანამედროვე ტენდენციებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

დამსაქმებლებთან შემდგომი ურთიერთობებით გამოიკვეთა, რომ ბიზნესის სფერო დღეს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა და მცირე მეწარმეობის განვითარება და წახალისება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია, რაც ახალ მოთხოვნილებებს უყენებს კურსდამთავრებულს თვითდასაქმების თვალსაზრისით. საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების გაზრდის მიმართულებით წარმოებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი კონკრეტული რეკომენდაციები:

1). გაძლიერდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამომყალიბებელი კურსების სწავლება. აკადემიური კურსები ორიენტირებული უნდა იყოს არამხოლოდ დარგობრივი ცოდნის მიცემაზე, არამედ ასევე ძლიერი ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე. სწორედ ძლიერი ტრანსფერული უნარები აძლევს კურსდამთავრებულ საშუალებას დასაქმდეს როგორც სპეციალობით, ასევე მოერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სხვა მიმართულებითაც დასაქმდეს;

2). აუცილებელია სტუდენტთა სასწავლო/საწარმო პრაქტიკის ხარისხობრივი გაუმჯობესება თანამშრომელ ორგანიზაციათა ბაზის გამოყენებით;

3). სასურველია პრაქტიკული უნარების მქონე მოწვეული სპეციალისტების ჩართვა სასწავლო პროცესში;

4). პოტენციურ დამსაქმებლებთან მეტი, რეგულარული შეხვედრების ორგანიზება.

აღნიშნული რეკომენდაციები სფუძვლად დაედო ფაკულტეტზე მოქმედ საბაკალავრო პროგრამის „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ს მოდერნიზაციას და ზოგადი პროფილის „მენეჯმენტი“-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას.

რეგიონისა და ქალაქის ჭრილში პროგრამის აქტუალობას განაპირობებს მისი განხორციელება ორი კონცენტრაციით: „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ და „მცირე ბიზნესის მართვა“ რაც პასუხობს შრომის ბაზრის და ადგილობრივი ფირმების მხრიდან გაზრდილ მოთხოვნილებებს ისეთ სპეციალისტებზე, რომლებსაც მართვის თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნასთან ერთად აქვთ რეგიონული ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში (საზღვაო გადაზიდვები, ლოჯისტიკური ფირმები, საზღვაო ნავსადგურები, სატრანსპორტო საწარმოები) მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

„მცირე ბიზნესის მართვის“ კონცენტრაცია კურსდამთავრებულს უყალიბებს ბიზნესის წამოწყების და მართვის უნარს, აძლევს თვითდასაქმების საშუალებას მეწარმეობის სხვადასხვა სფეროში, რასაც ქალაქის, რეგიონისა და ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს დღეს, როცა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასახულია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020“.

პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული იძენს მეწარმისათვის აუცილებელ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, დამოუკიდებლად და ეფექტიანად წარმართოს კერძო ბიზნესი და მიიღოს მოგება.

შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით და დასაქმების შესაძლებლობის ზრდით საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“ უზრუნველყოფს რეგიონიდან ახალგაზრდა თაობის გადინების პროცესის შეკავებას.